INTERNAL POLITICAL CONFLICT IN RUSSIA AND THE WAR IN ABKHAZIA (1992-1993)[1]

რუსეთის შიდაპოლიტიკური დაპირისპირება და ომი აფხაზეთში (1992-1993)[2]

LASHA CHANTLADZE

PhD student in History at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
№1 Chavchavadze ave, Tbilisi, Georgia
Orcid.org/0009-0003-0105-0624
chantladze.lash@gmail.com

Abstract. Russian and Abkhazian historiography concerning the war in Abkhazia primarily focuses on the internal political conflict in Russia in 1991-1993, characterized by the confrontation between Boris Yeltsin's reformist alliance and radical-conservative entities. While armed clashes did occur, culminating in October 1993 when Yeltsin decisively subdued the opposition led by Supreme Soviet Chairman Ruslan Khasbulatov and Vice President Alexander Rutskoi, critiques by Russian and Abkhazian scholars, suggest fundamental inaccuracies in their assessment of the underlying internal political issues. According to their analyses, Russian politicians lacked a unified strategy concerning the conflict in Abkhazia, and in some instances, Boris Yeltsin even supported Eduard Shevardnadze.

This article reviews the internal political conflict in the Russian Federation in 1992-1993 and provides an analysis of the crucial turning points in the Abkhazian war within this context. In general, President Boris Yeltsin's administration during this period was primarily focused on modernizing the Russian economy and liberalizing its foreign policy (integration into Western political structures). Understandably, the conservative and militaristic political factions expressed dissatisfaction with these developments. However, when considering the facts and outcomes, it becomes clear that the ongoing discontent and controversies had no effect on the final results of the conflict in Abkhazia. The course of events indicated that the prevailing imperial mindset remained steadfast throughout. Even Andrei Kozyrev, the most liberal and influential foreign minister at the time, shared the imperial ideology, advocating for the post-Soviet states to remain within Russia's economic and political sphere of influence. This viewpoint was clearly illustrated by Russia's involvement in the overthrow of Zviad Gamsakhurdia's government during the Georgian Civil War and its active support for separatists in the Abkhazian conflict.

Keywords: Internal political conflict of Russia; War in Abkhazia; Yeltsin; Khasbulatov; Rutskoy;

[1] This Research **PHDF-22-1904** has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

[2] კვლევა **PHDF-22-1904** განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

ლაშა ჩანტლაძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის №1
Orcid.org/0009-0003-0105-0624
chantladze.lash@gmail.com

აბსტრაქტი. აფხაზეთის ომის ირგვლივ გამოცემულ რუსულ და აფხაზურ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება მახვილდება 1991-1993 წლებში რუსეთში არსებულ შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაზე, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ბორის ელცინის რეფორმატორთა ალიანსი და რადიკალურ-კონსერვატიული გაერთიანებები. არსებული დაპირისპირება მართლაც იყო, ის 1993 წლის ოქტომბერში დაგვირგვინდა კიდევაც შეიარაღებული შეტაკებებით, როდესაც ელცინმა საბოლოოდ გაანადგურა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რუსლან ხასბულატოვისა და ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე რუცკოის მეთაურობით შექმნილი ოპოზიციური ნაწილი. თუმცა არსებულ შიდაპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ნამდვილად არასწორია ის შეფასებები, რომელსაც რუსი და აფხაზი მეცნიერები აკეთებენ. აღნიშნული დასკვნების მიხედვით, რუს პოლიტიკოსებს შორის არ არსებობდა ერთიანი სტრატეგია, აფხაზეთში არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით და რიგ შემთხვევებში, ბორის ელცინი მხარსაც უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

მოცემულ სტატიაში განხილულია 1992-1993 წლებში რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე შიდაპოლიტიკური დაპირისპირება და ამის ფონზე გაანალიზებულია აფხაზეთის ომის გარდამტეხი მონაკვეთები. ზოგადად, პრეზიდენტ ელცინის მმართველობა, თეორიულად მოიცავდა კიდევაც რუსეთის ეკონომიკის მოდერნიზებასა და საგარეო პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაციას (ინტეგრაცია დასავლურ პოლიტიკურ სტრუქტურებში). ბუნებრივია, აღნიშნული კონსერვატიულად და მილიტარისტულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფების უკმაყოფილებას იწვევდა. თუმცა ფაქტებისა და შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლებისას, არსებულმა უკმაყოფილებამ და დაპირისპირებამ არანაირი გავლენა არ მოახდინა შედეგზე, როგორც განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა იმპერიული ფსიქოლოგია უცვლელი დარჩა. ყველაზე ლიბერალურად განწყობილმა და გავლენიანმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმაც კი გაიზიარა იმპერიული კონცეფცია და მიიჩნია, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცე რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის სფეროში უნდა დარჩენილიყო. რაც გამოვლინდა საქართველოს სამოქალაქო ომში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობითა და აფხაზეთის კონფლიქტში სეპარატისტების აქტიური მხარდაჭერით.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის შიდაპოლიტიკური დაპირისპირება; ომი აფხაზეთში; ელცინი; ხასბულატოვი; რუცკოი;

შესავალი. საკვლევი თემის მიზანია განიხილოს 1992-1993 წლებში რუსეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და ამის ფონზე გაანალიზოს, მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა არსებულმა შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა აფხაზეთის ომზე. გარდა ამისა, განხილულია აფხაზეთში კონფლიქტის გარდამტეხი მონაკვეთები და მასში რუსეთის მონაწილეობის ფაქტები.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ფრენსის ფუკუიამას მოსაზრებით, ცივი ომის დასასრულისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კაცობრიობამ მიაღწია არამხოლოდ ომის შემდგომი ისტორიის გარკვეული პერიოდის დასასრულს, არამედ იდეოლოგიურ და ევოლუციურ კულმინაციას, რომლის მიხედვითაც ლიბერალური დემოკრატია უნდა გამხდარიყო ადამიანური მმართველობის საბოლოო ფორმა (Fukuyama, 1992:15-16). აღნიშნულს იზიარებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, რომელიც თვლიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიული რუსეთის ბუნებრივი მოკავშირე და ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის მტერი იყო. საბჭოთა კავშირს კი მოიხსენიებდა, როგორც "არასწორად" და "არასამართლებრივად" განვითარებულს (Козырев,1995:16). ბუნებრივია, ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ორი რუსეთის მითის ხელახლა გაღვიძებას, როგორც დასავლურ სამყაროში, ისე-საქართველოშიც. სამწუხაროდ, პოლიტიკურმა ელიტებმა ვერ გააცნობიერეს, რომ ორი რუსეთის არსებობა ეს არის ილუზია, რაც ნათლად დაადასტურა 1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებულმა პროცესებმა. ედუარდ შევარდნაძის ხედვა, რომელიც რუსეთის მხრიდან შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობას არა ბორის ელცინსა და საპრეზიდენტო აპარატში მყოფ დემოკრატებს, არამედ უზენაესი საბჭოს მეთაურ რუსლან ხასბულატოვსა და სამხედროებს აკისრებდა, სრულიად მცდარი გამოდგა. მართალია, თავად ხასბულატოვი ელცინს ღიად უპირისპირდებოდა ძალაუფლების გადანაწილებისა და ეკონომიკური რეფორმების ირგვლივ, მაგრამ მათი სტრატეგია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში ღიად ატარებდა საქართველოს საწინააღმდეგო ხაზს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ბევრი ნაშრომია შექმნილი, სადაც დაწვრილებით და კარგად არის განხილული რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში, მათ შორის აღნიშნულ სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულია ზურაბ პაპასქირის, ჯემალ გამახარიასა და დაზმირ ჯოჯუას ნაშრომები. თუმცა რუსულ და აფხაზური ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ბრალდებების საპასუხოდ მნიშვნელოვანია სრულად გავაანალიზოთ საკუთრივ იმ პერიოდის რუსეთში არსებული ვითარება. საკვლევი თემის აქტუალურობაც და ინოვაციურობაც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესების გარდა, განხილულია უშუალოდ იმ პერიოდის რუსეთში არსებული მდგომარეობაც. აღსანიშნავია, რომ არსებული პროცესების ანალიზის დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად გამოყენებულია გაზეთ აფხაზეთის რესპუბლიკის 1992-1993 წლების ნომრებიც.

რუსეთში არსებული შიდაპოლიტიკური დაპირისპირების განხილვისას, საინტერესო და მნიშვნელოვან ავტორებს შორის უნდა დავასახელოთ სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეი ციგანკოვი, რომელმაც რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესწავლას რამდენიმე ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა. ასევე აღსანიშნავია ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ სერგი პლოხის ნაშრომი "დაკარგული სამეფო", სადაც განხილულია რუსეთის ისტორიის გარდამტეხი მონაკვეთები და ბუნებრივია, დასკვნით ნაწილში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ არსებულ ვითარებაზე. გარდა ამისა, უნდა გამოვყოთ დონალდ მარეის "დესპოტების

დემოკრატია", სადაც დეტალურადაა აღწერილი ის დაპირისპირება, რომელიც 1992-1993 წლებში მიმდინარეობდა რუსეთის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის.

მეთოდები. მოცემული სტატია მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიას განეკუთვნება. პირველადი წყაროების (პრესა და მემუარული მასალები) განხილვისას გამოვიყენე კონტენტ-ანალიზის მეთოდი, ხოლო მეორეული წყაროების ანალიზისას კი, (საკვლევი საკითხის ირგვლივ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა) ვიხელმძღვანელე დისკურს-ანალიზის მეთოდით. გარდა ამისა, ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი ბმის ასახსნელად გამოყენებულია პროცესის მიდევნების მეთოდი.

დისკუსია და შედეგები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში აქტიურად მიდიოდა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი რუსული სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი. კრემლის ხელმძღვანელობა ბორის ელცინის მეთაურობით ეკონომიკური რეფორმების გატარებისთვის ემზადებოდა. 1992 წლის იანვარში, ელცინის მიერ დანიშნულმა პრემიერ-მინისტრმა იგორ გაიდარმა დააანონსა ის ძირითადი მიმართულებები, რისი განხორციელებითაც უნდა მომხდარიყო რუსეთის ფედერაციის გარდაქმნა. აღნიშნული მოიცავდა საშინაო და საგარეო ვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციას, ფასების კონტროლის გაუქმებას და საბითუმო ვაჭრობის პრივატიზაციას (Trenin, 2019:135-136). ამასთან ერთად, დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხი იყო ახალი რუსული სახელმწიფოს დეფინიციის განსაზღვრა. ეკონომიკურ რეფორმებს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა უნდა გამოასწორებინა, მაგრამ ამავდროულად აუცილებელი იყო ახალი სახელმწიფოს კონცეფციის ზუსტი გაანალიზება, რაც იმ პერიოდში გავრცელებული აზრების გათვალისწინებით, ნამდვილად არ იყო მარტივი ამოცანა. კოზირევს და მის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ საბჭოთა მემკვიდრეობით დაზარალებული რუსეთის იდენტობა უნდა აღმდგარიყო არა იმპერიული, არამედ-სამოქალაქო თვალსაზრისით (Plokhy, 2017:313). აღნიშნული თეორიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური აპოლოგეტი იყო ისტორიკოსი და ეთნოლოგი ვალერი ტიშკოვი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა სახელმწიფო კომიტეტს. ტიშკოვი მიიჩნევდა, რომ უპირატესობა უნდა მინიჭებოდა სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეას, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა „რუსეთის მოქალაქეების ფედერაცია", მიუხედავად მათი რელიგიური და კულტურული განსხვავებებისა. ამ ყველაფერთან ერთად, რუს ეთნოლოგსა და ისტორიკოსს მიაჩნდა, რომ რუსი ერის კონცეფციის გვერდით ასევე დასაშვები იქნებოდა ტერმინ რუსული ცივილიზაციის გამოყენებაც (Тишков, 2023:21). მიუხედავად თავდაპირველი მხარდაჭერისა, არსებული თეორია მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც მმართველი ელიტისთვის, ისე რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკებისთვისაც, რომელთა ერთ ნაწილს დამოუკიდებლობა (ჩეჩნეთი), ხოლო მეორე ნაწილს კი უფლებრივი სტატუსის (თათრეთი) გაზრდა სურდა.

ელცინ-კოზირევ გაიდარის ფრთას მოწინააღმდეგეები ჰყავდა, როგორც მთავრობის შიგნით, ასევე ოპოზიციურ სპექტრშიც. მთავრობის შიგნით აღნიშნული კურსს ეწინააღმდეგებოდა რუსეთის თავდაცვის სამინისტრო და საპრეზიდენტო უშიშროების საბჭო. ძალოვანი მინისტრების, უსაფრთხოებისა და სადაზვერვო ბიუროები უფრო მეტად იზიარებდნენ რუსული იდენტობის კონსერვატიულ-ცენტრისტულ გააზრებას. ამ მხრივ, ყველაზე უფრო მეტად სამხედროები გამოირჩეოდნენ, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში, არ ითვალისწინებდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დირექტივებსაც (Hopf, 2017:702). მაგალითად, 1992 წლის მაისში ბორის ელცინმა ღიად განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში

უნდა დაწყებულიყო დნესტრისპირეთში განლაგებული მეთოთხმეტე არმიის რეორგანიზაცია, რაზეც თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა პაველ გრაჩოვმა განაცხადა, რომ რუსული დივიზიები მოლდოვას დატოვებდნენ ქვეყანაში არსებული კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვის შემდგომ, ხოლო საკუთრივ მეთოთხმეტე არმიის ხელმძღვანელი გენერალი ლებედი, კი, ღიად აცხადებდა, რომ საკუთარ მანდატს აქტიურად გამოიყენებდა მოლდოვის ხელისუფლების ლიდერების წინააღმდეგ და დაიცავდა ეთნიკურად რუს მოსახლეობას (Tsygankov,2019:92). გავლენიან სამხედროთა პოზიციებს ზურგს უმაგრებდნენ ისეთი ფიგურები, როგორებიც იყვნენ მწერალი ალექსანდრე პროხანოვი, ეროვნული ბოლშევიკური პარტიის დამფუძნებელი ედუარდ ლიმონოვი და სერგეი ბებურინი (რუსი ნაციონალისტების ერთ-ერთი მეთაური უზენაეს საბჭოში). ისინი მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევა უდიდესი კატასტროფა იყო და ღიად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის ინტეგრაციას ისეთ დასავლურ ორგანიზაციებში, როგორიც მაგალითად იყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი. სავალუტო ფონდსა და ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე რუსლან ხასბულატოვის პოზიციას, ვინც აღნიშნავდა, რომ დაჩქარებული პრივატიზაცია, სამრეწველო საწარმოების დახურვა და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის შემცირება ეკონომიკურ მდგომარეობას გამოუვალს გახდიდა (Хасбулатов, 2011:14). ელცინს მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ აფრთხილებდა ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე რუცკოიც, რომელიც ეთანხმებოდა იმ ეკონომიკური რეფორმების პროექტს, რომელიც 1992 წლის დეკემბერში ხასბულატოვმა წარუდგინა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს (Майоров, 1994: 112).

აღნიშნული ადამიანების მოსაზრებებს იზიარებდნენ შედარებით უფრო ზომიერად განწყობილი ფიგურები: აკადემიკოსი ანდრანიკ მიგრანიანი და ევგენი ამბარცუმოვი (საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე). ისინი მიიჩნევდნენ, რომ სამხრეთ ოსეთი, ყარაბაღი, ყირიმი, დნესტრისპირეთი და სხვა რეგიონები ბევრად უფრო ადრე იყო რუსეთის იმპერიის ნაწილი, ვიდრე ისინი ახლადდამოუკიდებლობა გამოცხადებულ რესპუბლიკებს შეუერთდებოდნენ, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციას ყველანაირი ლეგიტიმური უფლება უნდა ჰქონოდა ამ და სხვა რეგიონების კონტროლისთვის (Sagramoso, 2023:28). არსებული პოზიცია გაზიარებული ჰქონდა პრეზიდენტ ელცინის მრჩეველ სერგეი სტანკევიჩსაც. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ რუსეთის ფედერაციას უნდა შეემუშავებინა საკუთარი "მონროს დოქტრინა", რომლის მიხედვითაც პოსტ-საბჭოთა სივრცე რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფეროში უნდა დარჩენილიყო (Stent,A 2007:418). აღნიშნული მსჯელობა ოფიციალურად გაიზიარა ბორის ელცინმაც, რომელმაც 1993 წლის 23 თებერვალს განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა ეცნო რუსეთი, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტორი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სივრცეში და ეღიარებინა მისი „განსაკუთრებული" სტატუსი (Human Rights Watch. 1995:9). ამ ყველაფრის ფონზე ნათელია, რომ რუსეთში არსებული ყველა პოლიტიკური დაჯგუფების მიზანს საბოლოო ჯამში წარმოადგენდა პოსტ-საბჭოთა სივრცის სრული კონტროლი. რუსული ფრაგმენტული იმპერიალიზმის კონცეფციის თანახმად, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში იღებდა, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, დასაშვები იყო ანტიკური სამყაროდან გავრცელებული მეთოდის, „დაყავი და იბატონეს" პრინციპის გამოყენება. ეს პოლიტიკა გულისხმობდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ავტონომიების სეპარატისტული მისწრაფებანი უნდა გამოეყენებინათ, თავად ამ დამოუკიდებლობის მსურველი რესპუბლიკების წინააღმდეგ (Бакатин, 1992:23-24). ბუნებრივია, აღნიშნული სტრატეგია გავრცელდა რუსეთის ფედერაციაშიც. მართალია,

დაპირისპირება რუსულ პოლიტიკურ ფრაქციებს შორის ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ეს არ ეხებოდა ქვეყნის იმპერიულ სტილსა და სტრატეგიას. რომელი ჯგუფიც არ უნდა ყოფილიყო სათავეში, საერთო ჯამში, მათი მიზანი იმპერიული რუსეთის ხელახლა ფორმირება იქნებოდა. აღნიშნული დასკვნა, რომ კიდევ უფრო მეტად დავასაბუთოთ, უნდა დავუბრუნდეთ რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში განვითარებულ პროცესებს.

1992 წლის ბოლოსთვის უზენაეს საბჭოში 10 ფრაქცია იყო, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: პირველ ფრაქციას წარმოადგენდა "რუსული ერთობა", სადაც 300-მდე დეპუტატი იყო გაერთიანებული, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ელცინის რეფორმებს და ზოგადად, მის პოლიტიკას. აღნიშნული ბლოკი, ძირითადად, შედგებოდა რუსი კომუნისტებისა და ნაციონალისტებისაგან. მეორე გაერთიანებას ქმნიდა "ცენტრისტთა ბლოკი", რომელსაც წარმოადგენდნენ ისეთი პოლიტიკური ჯგუფები როგორებიც იყო: "მშრომელთა კავშირი", "თავისუფალი რუსეთი" (აღნიშნული ჯგუფი თავდაპირველად ალექსანდრე რუცკოიმ ჩამოაყალიბა) და მემარცხენეები. ცენტრისტთა დიდი ნაწილი მხარს უჭერდა ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას და რეფორმებს, თუმცა მათსა და ბორის ელცინს შორის არსებული არაპროდუქტიული კომუნიკაციის გამო პრეზიდენტმა ვერ შეძლო საკანონმდებლო ორგანოში ეფექტური დასაყრდენის შექმნა (Murray, 1996:165). ამის საპირისპიროდ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე რუსლან ხასბულატოვმა საკმაოდ მძლავრი კოალიცია ჩამოაყალიბა, რომელსაც ზურგს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე რუცკოიც უმაგრებდა. 1992 წლის დეკემბერში, რუსეთის სახალხო დეპუტატთა კონგრესის მიმდინარეობისას, ოპოზიციურად განწყობილ დეპუტატებს ბორის ელცინისთვის ძალაუფლების შეზღუდვა ჰქონდათ განზრახული, რის მიხედვითაც, რუსეთი ეტაპობრივად საპარლამენტო რესპუბლიკად უნდა გარდაქმნილიყო. ელცინის უახლოესი გარემოცვის წევრები და მრჩევლები (მათ შორის გამოირჩეოდა გენადი ბურბულისი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული „თბილისის ომში" ანტისახელმწიფოებრივი ძალების მხარდაჭერა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის დამხობა) ჟურნალისტებთან საუბრისას ღიად აცხადებდნენ, რომ კონგრესი "ლეგალურ პუტჩს" გეგმავდა, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატებმა ვერ შეძლეს პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა, კონგრესზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა აღმასრულებელი ხელისუფლება მაინც რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. დეპუტატებმა საგანგებო რეზოლუციით დაგმეს ეკონომიკური პროგრამა და იგორ გაიდარს დაატოვებინეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა,რომელიც ჩაანაცვლა გაზპრომის ყოფილმა ხელმძღვანელმა ვიქტორ ჩერნომირდინმა. მიუხედავად აღნიშნული მარცხისა, ბორის ელცინმა მალევე შეძლო საკუთარი პოზიციების განმტკიცება. 1993 წლის აპრილის რეფერენდუმზე რუსმა ამომრჩევლებმა მხარი დაუჭირეს პრეზიდენტის მმართველობასა და მისი ეკონომიკური პროგრამების შინაარსს. აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით, ელცინს შესაძლებლობა მიეცა, რომ წარმოედგინა საკონსტიტუციო შესწორების პროექტი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შედარებით აშკარა უპირატესობას მიანიჭებდა. საკონსტიტუციო ასამბლეის გახსნით სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, რუსეთის პრეზიდენტი მოსახლეობას მოუწოდებდა, რომ არ აერჩიათ ანარქიის გზა და გადაერჩინათ რუსეთი, ხოლო რუსეთის კონგრესსა და უზენაეს საბჭოს კი იმ ბოლშევიკებს ადარებდა, რომელთაც 1917 წელს დემოკრატიულად არჩეული დამფუძნებელი კრება დაშალეს და ძალაუფლება ხელში ძალადობრივად ჩაიგდეს. საპარლამენტო დელეგაციას, რუსლან ხასბულატოვის მეთაურობით, საპასუხო სიტყვის თქმის უფლება არ მიეცათ, რასაც სხდომათა დარბაზში სიტყვიერი დაპირისპირებაც მოჰყვა (Murray, 1996:173-174). არსებული დაპირისპირების ანალიზისას, ცხადია, რომ პარლამენტსა და პრეზიდენტს

შორის კომპრომისის გამონახვა შეუძლებელი აღმოჩნდა, რამაც კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალი გახადა. ელცინი არსებული პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად ძალის დემონსტრაციასა და პარლამენტის წევრების სრულ განიარაღებაში ხედავდა. 1993 წლის 21 სექტემბრის ბრძანებით დაშლილად გამოცხადდა რუსეთის კონგრესი. ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა 150 დეპუტატი, რომლებმაც უმაღლესი საბჭოს საგანგებო სხდომა ჩანიშნეს. მიმდინარე სხდომაზე ელცინი გადაყენებულად გამოაცხადეს, ხოლო მის შემცვლელად პოსტზე კი ალექსანდრე რუცკოი წარადგინეს. რუსლან ხასბულატოვი რუსეთში მცხოვრებლებს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდა. დეპუტატები თეთრ სახლში გამაგრდნენ, ალექსანდრე რუცკოიმ ახალი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებიც დანიშნა, თუმცა ელცინი უფრო უკეთ აღმოჩნდა მომზადებული. რუსეთის პრეზიდენტს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვიქტორ იერინმა, რამაც საბოლოო ჯამში გადაწყვიტა კიდეც დაპირისპირების ბედი. ძალოვანი უწყებების მხარდაჭერა პრეზიდენტ ელცინისადმი, კიდევ ერთხელ აქარწყლებს იმ ვერსიებს, რომელიც მიხედვითაც, თითქოს პრეზიდენტს კონტროლი არ ჰქონია სამხედრო მეთაურებზე და ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ აფხაზეთის ომში და არ ითვალისწინებდნენ ოფიციალური მოსკოვის პოზიციებს. საბოლოო ჯამში, 14 დღიანი დაძაბულობის შემდგომ, 4 ოქტომბერს რუსულმა არმიამ ალყა შემოარტყა პარლამენტის შენობას და რამდენიმე საათის შემდეგ თეთრი სახლის დაბომბვა დაიწყო. შუადღისას სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა სრულად დაიკავეს შენობა და იქ გამაგრებულები დააპატიმრეს.

მიუხედავად მომხდარი დაპირისპირებისა, ფაქტია, რომ ორივე ფრაქცია ნათლად აცნობიერებდა იმპერიული დღის წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობას, რომლის აუცილებელი ფუნდამენტი დსთ-ს სრული დაკომპლექტება და რუსეთის ფარგლებს მიღმა არსებული სამხედრო ბაზების უპრობლემო ფუნქციონირება უნდა ყოფილიყო. სუსტ და შიდადაპირისპირებაში ჩაფლულ რუსეთსაც ეყო იმის ძალა, რომ აფხაზეთის ომში ეფექტურად ჩარეულიყო ქართული მხარის წინააღმდეგ. სეპარატისტების დახმარება, ეს იყო კარგი შანსი რუსული იმპერიალიზმის შენარჩუნებისა და ექსპანსიისთვის. ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დაწყებამდე.

საქართველოში პოლიტიკურ სტაბილურობას საფრთხე 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში დაწყებულმა პუტჩმა შეუქმნა. რუსეთში „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ გაფორმების მოწინააღმდეგე კომუნისტებმა შეიარაღებული გამოსვლა დაიწყეს გორბაჩოვის წინააღმდეგ, თუმცა მათი ეს ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა, ბორის ელცინმა შეძლო “Государственный комитет по чрезвычайному положению-ს („ГКЧП“-ს) ძალების მოგერიება, რამაც მისი გავლენა და რეიტინგი საგრძნობლად გაზარდა. პუტჩის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორის ანატოლი ლუკიანოვის დაკავებამ უარყოფითად იმოქმედა სეპარატისტულ მოძრაობაზე. საქმე ისაა, რომ ლუკიანოვი მჭიდროდ თანამშრომლობდა გორბაჩოვის რეფორმების მოწინააღმდეგე რადიკალურ-კონსერვატიულ გაერთიანება „სოიუზთან“, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად მოკავშირე რესპუბლიკებში სეპარატიზმის მხარდაჭერა. პუტჩის მარცხმა და ლუკიანოვის დაპატიმრებამ, აიძულა აფხაზური მხარე, რომ თავი შეეკავებინა ხისტი მოქმედებებისაგან და 1991 წლის 9 ივლისს გაფორმებული საარჩევნო ხელშეკრულების, (ეთნიკური კვოტირება აფხაზთა სასარგებლოდ) ერთგული დარჩენილიყო.

რუსეთში განვითარებული პროცესების პარალელურად, მდგომარეობა დაიძაბა საქართველოშიც. თენგიზ კიტოვანი არ დაემორჩილა ზვიად გამსახურდიას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ და დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. აღნიშნული პროცესი სამოქალაქო ომში გადაიზარდა და საბოლოოდ ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობით დასრულდა (ციურხერი 2006:124). იღებდნენ თუ არა პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობას რუსული სპეცსამსახურის წარმომადგენლები? საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (1991-1992) აკაკი ასათიანი მიიჩნევს, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობა პირდაპირ ელცინისგან მოდიოდა, კოორდინაციას კი მისი ფავორიტი გენადი ბურბულისი უწევდა (აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ პროცესებში ეს უკანასკნელი ჩართულიყო იყო ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანშიც). ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე გამოთქმული მოსაზრება, რომ „ბურბულუსის კომიტეტთან“ უშუალო კონტაქტები ჰქონდათ აფხაზ სეპარატისტებსაც (ჯოჯუა 2017: 136). პროცესების შემდგომი ანალიზისთვის აუცილებელია გამოვყოთ რამდენიმე გარდამტეხი მონაკვეთი აფხაზეთის ომიდან, სადაც მკაფიოდ ჩანს, რომ რუსეთში არსებულ ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას, მკაფიო ანტიქართული პოზიციები ეჭირა.

ომი აფხაზეთში იყო შესაძლებლობა, რომლის დახმარებითაც რუსეთი გაიმყარებდა პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში. როგორც თავად თავდაცვის მინისტრი, პაველ გრაჩოვი აღნიშნავდა, ოფიციალური მოსკოვისთვის უმნიშვნელოვანეს მიზანი იყო საქართველოში სამხედრო ბაზების ყოფნა, რაც აუცილებელი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე კონტროლის შენარჩუნებისთვის (Lynch, 2000: 137). ასეთი სიტუაციის ფონზე, 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობის დაფიქსირება ნამდვილად იყო პოლიტიკური გამარჯვება ქართული მხარისთვის, მაგრამ, ამავდროულად, აჩენს შეკითხვებს, თუ რატომ მოიქცნენ ასე რუსები? სავარაუდოა, რომ ეს იყო ერთგვარი დათმობა, რომლის სანაცვლოდ, ეს უკანასკნელი, მოელოდა რომ საქართველო დსთ-ში გაწევრიანდებოდა და ასევე რუსული ბაზების ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არ შეექმნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბორის ელცინმა ვერ იხილა არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადადგმული მკაფიო ნაბიჯები, შეიმუშავა ახალი კოორდინირებული სტრატეგია ქართული მხარის დასასჯელად, რის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენდა შეტევა გაგრის დასაკავებლად. აფხაზურმა ძალებმა თავი მოიყარეს მდინარე ბზიფთან, მათი რაოდენობა მოიცავდა დაახლოებით 3000-4000 მეომარს (Human Rights Watch, 1995: 26). მთიელ ხალხთა კონფედერაციის მეთაურმა მუსა შანიბოვმა, განაცხადა, რომ აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების დღიდან 5000-მდე კავკასიელი მოხალისე ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი რიცხვი გაათმაგდებოდა, რათა შეჩერებულიყო ქართული არმიის წინსვლა (ტერეხოვი, 1992:3). ჩრდილო კავკასიელ მეომრებთან ერთად, აღნიშნულ სამხედრო ოპერაციაში ჩართულები იყვნენ რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებიც, რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა გენერალური შტაბის მეთაური მიხაილ კოლესნიკოვი (პაპასქირი, 2007:384). გაგრის დასაკავებლად წარმოებულ ბრძოლებში აფხაზებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩეჩნები, კაზაკები და რუსი დაქირავებული მებრძოლები. აფხაზეთში მყოფი ქართული საჯარისო შენაერთების მეთაური გია ყარყარაშვილი იხსენებს, რომ გაგრაზე განხორციელებული იერიშის დროს რუსულ სამხედრო კატარღებს ბლოკადაში ჰქონდათ მოქცეული სანაპიროს ნაწილი, რამაც შეუძლებელი გახადა ქართველებისთვის, რომ გადაესხათ დესანტი გაგრის გარნიზონის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, დამატებით მოწინააღმდეგე იყენებდა თანამედროვე რადიო-ელექტრონულ ჩამხშობ მექანიზმებს და რაც მთავარია გახსნილი იყო ჩრდილოეთ საზღვარი კავკასიელი

კონფედერატების გადმოსაყვანად (Gamakharia, 2011:472-473). ამ სამხედრო ოპერაციის დროს, აფხაზები, რომლებიც მანამდე (მაგალითად სოხუმთან წარმოებული ბრძოლების დროს), საბრძოლო იარაღების დეფიციტს უჩიოდნენ, უკვე კარგად იყვნენ შეიარაღებულები:სეპარატისტების განკარგულებაში იყო როგორც მსუბუქი, ისე მძიმე არტილერია და T-72 ტიპის ტანკები (Human Rights Watch, 1995:26-27). ბუნებრივია, მსგავსი არსენალის გადაცემა აფხაზებისთვის, მხოლოდ რუსებს შეეძლოთ, რომლებმაც გაგრის დაკავებით უმნიშვნელოვანესი ლოჯისტიკური ამოცანა შეასრულეს, რასაც მომავალში უნდა უზრუნველეყო გუდაუთამდე (რუსულ სამხედრო ბაზამდე) არსებული საკომუნიკაციო ხაზის დაცულობა და ფსოუზე საზღვრის გახსნა, აღნიშნულს, კი, გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა აფხაზებისადმი სამხედრო და „ჰუმანიტარული“ ტვირთების გაგზავნის პროცესში. ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან აღნიშნული ქმედებები შეფასდა, როგორც ღია აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და 3 სექტემბერს აღებული ვალდებულებების უხეში დარღვევა („ბორის ელცინის განცხადების გამო“, 1992:1).

სამხედრო მოქმედებებში უშუალო ჩართულობის გარდა, აქტიურად მიმდინარეობდა პროპაგანდისტული სამუშაოები, მაგალითად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიები, რომელთა ავტორები, მოითხოვდნენ, რომ აფხაზებისთვის გაზრდილიყო სამხედრო დახმარების პაკეტები, როგორც სამხედრო ტექნიკის, ისე ცოცხალი ძალის მხრივ, გარდა ამისა, აფხაზებმა მიმართვები გაუგზავნეს „UNESCO“-ს და რუსეთის პატრიარქ ალექსი მეორეს, სადაც მოუწოდებდნენ, რომ სასწრაფოდ აღმოეჩინათ დახმარება საქართველოს აგრესიის „მსხვერპლისადმი“ („Москва.Святеищему Патриарху всея Руси Алексию“, 1992:31-32). აღნიშნულში კარგად ჩანს საინფორმაციო ომის პოლიტიკა, რომლის მიზანსაც აფხაზების, როგორც მსხვერპლის, ხოლო ქართველების, როგორც აგრესორების, გამოყვანა წარმოადგენდა. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ მსგავსად კარგად დაგეგმილი კამპანიის წარმოებაში სეპარატისტებს რუსული დაზვერვა ეხმარებოდა.ეჭვს ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ ამ პროცესში რუსული მედია-საშუალებებიც იყვნენ ჩართულნი. 1992 წლის მარტიდან, 1993 წლის სექტემბრამდე, ალექსანდრე ლიუბიმოვს მიჰყავდა სატელევიზიო გადაცემა „წითელი კვადრატი“. ერთ-ერთი გადაცემის დროს მისი სტუმარი იყო ანრი ჯერგენია (მომავალში აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი), ინტერვიუს დროს ღიად დაფიქსირდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში მოხალისედ წასული მებრძოლები შესაფერის ჯილდოს მიიღებდნენ (წიქარიშვილი, 2003:393-394). ტელევიზიისა და პრესის ნეგატიურ როლზე ყურადღებას ამახვილებს სვეტლანა ჩერვონაია, რომელიც აღნიშნავს, რომ მასობრივი საკომუნიკაციო ხაზების დახმარებით აქტიურად მიდიოდა პროპაგანდა, თუ როგორ ჩაგრავდნენ იმპერიალისტურად განწყობილი ქართველები „თავისუფლებისმოყვარე“ აფხაზებს (Chervonnaya, 1994:6). სიტუაციას ამძაფრებდა ის ფაქტიც, რომ აფხაზურ პრესაში ღიად აფიქსირებდნენ პოზიციებს, რომ რუსეთს არ ჰქონდა მშვიდად ყოფნისა და მოდუნების უფლება, იმ პირობებში, როცა შევარდნაძე არ მალავდა საკუთარ სიმპათიებს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისადმი (Щария, 1992:69). მოცემულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო, 1992 წლის შემოდგომიდან რუსებმა მკვეთრად გაზარდეს დახმარების მოცულობა ქართული საჯარისო შენაერთების მიერ ბლოკადაში მყოფ ტყვარჩელზე და ნოემბერ-დეკემბერში რამდენიმე საჰაერო იერიშიც განახორციელეს ქართული პოზიციების წინააღმდეგ. საჰაერო იერიშებამდე, რუსებმა 18 ოქტომბერს ჩამოაგდეს ორი ქართული სამხედრო თვითმფრინავი სუ-25. ამასთან ერთად რეგულარული იერიშები ხორციელდებოდა ეშერას ლაბორატორიის ტერიტორიიდან, საიდანაც რუსი მედესანტეები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც ქართული

პოზიციების განადგურებისაკენ იყო მიმართული („საქართველოს პარლამენტის განცხადება“, 1992:1). 1992 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა ოფიციალური დადგენილება, სადაც კვლავინდებურად გაესვა ხაზი არსებული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების აუცილებლობას, თუმცა ასევე აღნიშნული იყო ის დარღვევები, რის გამოც ვერ ხერხდებოდა სიტუაციის სტაბილიზება. რუსეთი დადანაშაულებული იყო საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა იმ მოვლენებზე, რასაც ადგილი ჰქონდა გაგრაში. დოკუმენტში დეტალურად იყო გაანალიზებული 5 ოქტომბრიდან, 10 დეკემბრის ჩათვლით რუსული სამხედრო ინტერვენციის აშკარა დამადასტურებელი საბუთები. გარდა პირდაპირი სამხედრო ინტერვენციისა, დაფიქსირებული იყო კონტრაბანდული გზით იარაღის და საბრძოლო ამუნიციის შემოტანის ფაქტები. აღნიშნულს 25 დეკემბერს უპასუხა რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულების დარღვევაში ბრალი პირიქით, ქართულ მხარეს ედებოდა და სიტუაციის გამოსწორების მიზნით, რეკომენდაცია გაიცა საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ (პაპასქირი, 2007:390). ამ ყველაფერთან ერთად, იზრდებოდა კონფლიქტში რუსეთის პირდაპირი ჩარევის ფაქტები. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ დასკვნაში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ რუსები აქტიურად ამარაგებდნენ სეპარატისტებს მძიმე საარტილერიო დანადგარებითა და ჭურვებით. მიუხედავად იმისა, რომ პაველ გრაჩოვი უარყოფდა არსებულ ბრალდებებს, საერთაშორისო დამკვირვებლებიც ადასტურებდნენ, რომ საჰაერო რეიდები რუსული მხარის მიერ იყო განხორციელებული, ამასვე მოწმობს, 1993 წლის 19 მარტს ქართველების მიერ ჩამოგდებული SU-27, რომელსაც მართავდა მაიორი ვაცლავ შიპკო, ხოლო რუსი ოფიცრებისგან დაკომპლექტებული სპეციალური ქვედანაყოფი „ტაპირი“, კი, უშუალო მონაწილეობას იღებდა 1993 წლის მარტში სოხუმის დასაკავებლად წარმოებულ ბრძოლებში (გობეჩია: 1992:1). სამხედრო მოქმედებების გარდა, რუსეთის ხელისუფლება აქტიურობდა დიპლომატიურ ფრონტზეც, სადაც პირდაპირ თუ ფარულად მხარს უჭედა სეპარატისტებს. ამის ნათელი მაგალითია 1993 წლის 14 მაისის ხელშეკრულება, სადაც ბორის ელცინმა პირობა დადო, რომ ქართული პოზიციების წინააღმდეგ შეწყდებოდა საჰაერო იერიშები და რუსული მძიმე ტექნიკა აფხაზეთს დატოვებდა. თუმცა ამის საპირისპიროდ, უკვე ივნისის შუა რიცხვებიდან, რუსებმა კვლავინდებურად დაიწყეს აფხაზების აქტიური მომარაგება, როგორც საბრძოლო ამუნიციით, ისე ცოცხალი ძალით. არსებული ქმედებები იყო პირველი ნაბიჯი იმ დიდი გეგმისა, რასაც სოხუმის დაკავება წარმოადგენდა. აღნიშნული ოპერაცია რუსმა ოფიცრებმა დაგეგმეს და განხორციელებაშიც დიდი წვლილი შეიტანეს, ამ ყოველივეს ადასტურებს ტამიშის დესანტირებისას გამოყენებული რუსული სამხედრო ხომალდები, სამხედრო მოქმედებებში ჩართული რუსი მეომრები და ბრძოლის დროს გამოყენებული მაღალტექნოლოგიური რესურსები. მძიმე დაპირისპირების მიუხედავად, ქართულმა საჯარისო შენაერთებმა შეძლეს ტამიშის დესანტის მოგერიება,(ტამიშის დესანტის განადგურებამ, გადაარჩინა სოხუმი მყისიერ დაცემას) მაგრამ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ აღნიშნული იერიში არ წარმოადგენდა სეპარატისტების ძირითად შეტევას, მთავარი შეტევა გუმისთის ფრონტზე დაიწყო, რის შედეგადაც აფხაზებმა დაიკავეს სტრატეგიული სიმაღლეები სოხუმის ირგვლივ, ხოლო მოგვიანებით კონტროლი დაამყარეს ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალზე (Svante, 2001:160).

შექმნილმა მძიმე სამხედრო მდგომარეობამ დღის წესრიგში კვლავინდებურად დააყენა ახალი საზავო ხელშეკრულების დადება. 1993 წლის 27 ივლისს ქალაქ სოჭში, რუსეთის შუამდგომლობით ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით 28 ივლისის 12.00 საათიდან იკრძალებოდა ავიაციის, არტილერიისა და სხვა საბრძოლო-ტექნიკური საბრძოლო საშუალებების გამოყენება, გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარეების მძიმე ტექნიკას უნდა დაეტოვებინა კონფლიქტის არეალი. არსებულ დემილიტარიზაციის პროცესს, კი, ობიექტურად უნდა მოჰყოლოდა საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფების შესვლა საომარ ზონაში, რომელთაც, ძირითადად, პოზიციები უნდა დაეკავებინათ გუმისთაზე, ფსოუსა და ენგურზე („აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ", 1993:1). სოჭის შეთანხმებას ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის ბევრი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი, შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებლად მიიჩნევდა მსგავს საზავო დოკუმენტზე ხელმოწერას. ზურაბ პაპასქირი აღნიშნავს, რომ სოხუმში ჩატარებული თავდაცვის საბჭოს სხდომის დროს, დამსწრეთაგან არცერთი სამხედრო და სამოქალაქო მაღალჩინოსანი არ წასულა 27 ივლისის დოკუმენტის ხელმოწერის წინააღმდეგ (პაპასქირი, 2007:406). არსებულ რთულ სტრატეგიულ მოცემულობებთან ერთად, ვერ ივსებოდა კრიტიკულად შემცირებული ამუნიცია, რაც შეუძლებელს ხდიდა, როგორც თავდასხმითი, ისე თავდაცვითი ოპერაციების წარმოებას. მოცემული ვითარება წარმატების მიღწევის კარგ შესაძლებლობას აძლევდა აფხაზურ მხარეს. სეპარატისტებმა სოჭის სამშვიდობო ხელშეკრულება 16 სექტემბერს დაარღვიეს და შეტევაზე გადმოვიდნენ. მიმდინარე ბრძოლების პარალელურად, 17 სექტემბერს ადლერში ედუარდ შევარდნაძე, ირაკლი ბათიაშვილი და გია ყარყარაშვილი შეხვდნენ პაველ გრაჩოვს. რუსეთის თავდაცვის მინისტრი გარანტიას იძლეოდა, რომ შესაძლებელი იყო სოხუმის გადარჩენა, თუ აფხაზეთში ორი რუსული დივიზია შევიდოდა. აღნიშნული ინიციატივისადმი თავიდანვე მკაფიო უარყოფითი პოზიცია დაიკავა ქართული სამხედრო ძალების მთავარსარდლობამ. რუსულ ინიციატივაზე თანხმობა, სტრატეგიულად გაუმართლებელი ნაბიჯი იყო, რადგან, მოცემული გეგმის თანახმად, რუსი სამხედროები მხოლოდ ქართულ პოზიციებს დაიკავებდნენ და ამის მერე არსებული დივიზიები განლაგდებოდა, როგორც საქართველოში, ისე-აზერბაიჯანში. ედუარდ შევარდნაძე საკუთარ მემუარებში აღნიშნავს, რომ სრულად აცნობიერებდა გრაჩოვის მთავარ ჩანაფიქრს, რომლის მიზანიც იყო რუსული სამხედრო კონტინგენტის მიერ საქართველოს დასავლეთ ნაწილის დაკავება და ქვეყნის ბლოკადაში მოქცევა, რაც მომავალში ელცინს უდიდესი ზემოქმედების ბერკეტს მიანიჭებდა (შევარდნაძე, 2006:426). აღსანიშნავია, რომ რუსეთი თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პირობად აყენებდა არა საკუთრივ სოჭის ხელშეკრულების ძალით სანქცირებულ ჩარევას, რისთვისაც აბსოლუტურად საკმარისი რესურსები არსებობდა აფხაზეთში რუსეთის ჯარების ოპერატიული ჯგუფის (სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ჩინდაროვი) სახით, არამედ დამატებითი სამხედრო ხელშეკრულების საფუძველზე ორი სპეცდივიზიის დისლოკაციას, რაც საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ფაქტობრივ ოკუპაციას გულისხმობდა (ჯოჯუა, 2007:200-201).

მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში რუსული რეგულარული არმიის ნაწილებთან ერთად აქტიურად იბრძოდნენ კავკასიის კონფედერაციის მოხალისეები, ხოლო რუსული შავი ზღვის ფლოტს სოხუმი ბლოკადაში ჰყავდა მოქცეული (Gamakharia, 2011:478). ქართველთა გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად 27 სექტემბერს, 13 საათისთვის, დაეცა სოხუმის მინისტრთა საბჭოს შენობა, რომლის შემდეგაც აფხაზებმა ისარგებლეს ქართული სამხედრო შენაერთების სრული დემორალიზებით და 30 სექტემბრისთვის დაიკავეს გალის რაიონიც და გავიდნენ მდინარე ენგურზე.

დასკვნა. 1992-1993 წლებში საქართველოში მიმდინარე კონფლიქტში გადამწყვეტი გამოდგა რუსული ინტერვენცია, რომლის აქტიურმა ჩართულობამაც საბრძოლო მოქმედებებისა და ზოგადად, ომის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანა აფხაზი სეპარატისტების სასარგებლოდ. რუსული მხარისთვის (როგორც ელცინისთვის, ისე ხასბულატოვისთვის) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ეცნო ეს უკანასკნელი, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტორი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სივრცეში. ახალი იმპერიული კონცეფციის თანახმად, კავკასია რუსეთის გავლენის სფეროში უნდა დარჩენილიყო.

საქართველოში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის მიზნების მიღწევაში დიდი როლი შეასრულა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე შექმნილმა ფრაგმენტული იმპერიალიზმის პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც, მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ავტონომიების სეპარატისტული მისწრაფებანი უნდა გამოეყენებინათ თავად ამ დამოუკიდებლობის მსურველი რესპუბლიკების წინააღმდეგ. მართალია, თავად ხასბულატოვი ელცინს ღიად უპირისპირდებოდა ძალაუფლების გადანაწილებისა და ეკონომიკური რეფორმების ირგვლივ, მაგრამ მათი სტრატეგია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში ღიად ატარებდა საქართველოს საწინააღმდეგო ხაზს, კონფლიქტის დასკვნით ეტაპზე ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი და სპიკერი ხასბულატოვი აქტიურად უჭერდნენ მხარს საჰაერო იერიშების განხორციელებას არა მარტო უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების ადგილას, არამედ თბილისის მიმართულებითაც კი. როგორც შედეგების ანალიზი გვაჩვენებს, რუსული იმპერიული ფსიქოლოგია არ იცვლება, მის მიზანი არასდროს წარმოადგენდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ ცნობა. ამ მხრივ, აფხაზეთის ომი, ბრწყინვალე საშუალება გახლდათ საქართველოს დასჯისა და დაზიანებისთვის. არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ გარემოებას, თუ რომელი პოლიტიკური ჯგუფი იქნებოდა რუსეთის ხელისუფლებაში 1991-1993 წლებში, შედეგი კვლავინდებურად იგივე იქნებოდა, რაც საბოლოოდ დადგა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

წიგნები

პაპასქირი, ზ. (2007). *"წარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან ნაკვეთი II, 1917-1993".* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის ფილიალის გამომცემლობა.

შევარდნაძე, ე. (2006). *„ფიქრები წარსულსა და მომავალზე".* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L .

წიქარიშვილი, გ. (2003). *„დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა, ჟამი ჭეშმარიტი".* თბილისი.

ჯოჯუა, დ. (2007). *„აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესების ასპექტები".* თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Chervonnaya, S. (1994). *"Conflict in the Caucasus, Georgia, Abkhazia and the Russian Shadow".* Glastonburry: Gothic Image Publications

Cornell, S. (2001). *„Small Nations And Great Powers, A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus".* London: Routledge Curzon

Fukuyama, F. (1992). **"** The end of History and the Last Man". New York: The Free Press

Gamakharia, J. (2011). *"Assays From the History of Georgia, Abkhazia-From Ancient Times till the Present Days".* Tbilisi: Instiute of history and ethnology of Iv. Javakhishvili.

Murray, D. (1996). *"Democracy Of Despots".* Oxford: WestviewPress.

Plokhy, S. (2017)."*Lost Kingdom,Making of the Russian Nation".* New York: Basic Books.

Trenin, D. (2019). *"Russia,polity histories".* Cambridge: Polity Press.

Tsygankov, A. (2019). *"Russia's Foreign Policy Change and Continuity in National Identity".* London: Rowman & Littlefield.

Human Rights watch. (1995). Georgia/Abkhazia: violations of the laws of war and russias role in the conflict. Washington.

Бакатин, В. (1992). "*Избавление от КГБ".* Москва: новости.

Хасбулатов, Р. (2011). *"Либералная Тираня Елцина".* Москва: ЯУЗА-ПРЕСС.

Козырев, А. (1995*). "Преображение".* Москва: Междунар. Отношения.

Майоров, Д. (1994). *Неизвестный Руцкой: политический портрет*". Москва: ИАА Обозреватель.

Тишков, В. (2023). *"Нация наций: о эпохах к пониманию России".* Москва: Институт этнологии и антропологии.

სტატიები

ჯოჯუა, დ. (2017). „1992-1993 წლების ომი აფხაზეთში: რუსეთის ჩარევის კონიუნქტურა და ფაქტურა". *აფხაზეთი, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები.* გვ.122-139.

ციურხერი, ქ. (2006). *„1989-1993 წლები, სიძნელეების ხანა საქართველოს ისტორიაში" სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება.* გვ. 110-155.

Stent, A. (2007). „Reluctant Europeans: Three Centuries of Russian Ambivalence Toward the West". Russian foreign policy in the 21st century and the shadow of the past, p.393-443.

Hopf, T. (2017). „Moscow's foreign policy, 1945-2000: identities, institutions and interests". The Cambridge History of Russia, The Twentieth century. p. 662-705.

პრესა

გობეჩია, ი. (1993). „ცნობები აფხაზეთიდან“. *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.* #54:1.

ტერეხოვი, ი. (1992). „კავკასია შეიძლება ხალხთა სასაფლაოდ გადაიქცეს“. *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.* #170:3.

„ბორის ელცინის განცხადების გამო“. (1992). გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“.* #205:1.

„საქართველოს პარლამენტის განცხადება“ (1992). *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.* #257:1.

„აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“. (1993). *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.* #164:1.

Щария, В. (1992). „Освобождение Абхазии началось“, *Газета „Республика Абхазия*“. #8:69.

„Москва. Святеищему Патриарху всея Руси Алексию“. (1992). *Газета „Республика Абхазия“.* #1:32-33.

References

p'ap'askiri, z. (2007). “nark'vevebi tanamedrove apkhazetis ist'oriuli ts'arsulidan nak'veti II, 1917-1993”. [Essays from the historical past of modern Abkhazia, plot II, 1917-1993]. Tbilisi: Ivane Javakhishvili Sokhumi branch publishing house.

shevardnadze, e. (2006). „pikrebi ts'arsulsa da momovalze“ [Thoughts on the past and the future]. Tbilisi: Palitra L.

ts'ikarishvili, g. (2003). „damartskhebuli modzraobis kronik'a, zhami ch'eshmarit'i“ [Chronicles of a defeated movement, time is true]. Tbilisi.

jojua, d. (2007). „apkhazeti 1938-2006 ts'lebshi: regionaluri ist'oriuli p'rotsesebis asp'ekt'ebi“ [Abkhazia 1938-2006: aspects of regional historical processes]. Tbilisi: publishing house of Sokhumi State University.

Chervonnaya, S. (1994). “Conflict in the Caucasus, Georgia, Abkhazia and the Russian Shadow“, Glastonburry: Gothic Image Publications.

Cornell, S. (2001). „Small Nations And Great Powers, A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus“, London: Routledge Curzon.

Fukuyama, F. (1992). “ The end of History and the Last Man”, New York: The Free Press.

Gamakharia, J. (2011). ”Assays From the History of Georgia, Abkhazia-From Ancient Times till the Present Days”, Tbilisi: Instiute of history and ethnology of Iv. Javakhishvili.

Murray, D. (1996). ”Democracy Of Despots”, Oxford: WestviewPress.

Plokhy, S. (2017). “Lost Kingdom,Making of the Russian Nation”, New York: Basic Books.

Trenin, D. (2019). “Russia,polity histories”, Cambridge: Polity Press.

Tsygankov, A. (2019). “Russia’s Foreign Policy Change and Continuity in National Identity”,London: Rowman & Littlefield.

Human Rights watch. (1995). Georgia/Abkhazia: violations of the laws of war and russias role in the conflict. Washington.

Bakatin, V. (1992). “Izbavlenie ot KGB” [Deliverance from the KGB]. Moscow: News.

Hasbulatov, R. (2011). “Liberalnaja Tiranja Elcina” [Yeltin’s Liberal. Tyranny]. Moscow: YAUZA PRESS

Kozyrev, A. (1995). “Preobrazhenie” [Transformations]. Moscow: International Realations.

Majorov, D. (1994). Neizvestnyj Ruckoj: politicheskij portret” [Unkown Rutskoi: a political portrait]. Moscow: IAA Observer.

Tishkov, V. (2023). “Nacija nacij: o jepohah k ponimaniju Rossii“ [Nation of Nations: on the epochs to understanding Russian]. Moscow: Institute of Ethnology and Anthropology.

jojua, d. (2017). „1992-1993 ts'lebis omi apkhazetshi: rusetis charevis k'oniunkt'ura da pakt'ura“ [The 1992-1993 war in Abkhazia: the context and texture of Russian intervention] apkhazeti, sakartvelo, t'ragedia: ist'oriuli, p'olit'ik'uri da samartlebrivi asp'ekt'ebi [Abkhazia, Georgia, tragedy: historical, political and legal aspects]. pp. 122-139.

tsiurkheri, k. (2006). „1989-1993 ts'lebi, sidzneleebis khana sakartvelos ist'oriashi“ [1989-1993 years, the age of difficulties in the history of Georgia] sakhelmts'ipoebrioba da usaprtkhoeba [Statehood and security]. pp.110-155.

Stent, A. (2007). „Reluctant Europeans: Three Centuries of Russian Ambivalence Toward the West“. Russian foreign policy in the 21st century and the shadow of the past, pp.393-443.

Hopf, T. (2017). „Moscow’s foreign policy,1945-2000: identities, institutions and interests“. The Cambridge History of Russia, The Twentieth century. p. 662-705

gobechia, i. (1993). „tsnobebi apkhazetidan“ [Reports from Abkhazia]. Republic of Georgia. #54:1.

t'erekhovi, i. (1992). „k'avk'asia sheidzleba khalkhta sasaplaod gadaiktses“ [Caucasus may turn into a graveyeard of people]. Republic of Georgia. #170:3.

„boris eltsinis gantskhadebis gamo“. (1992). [Because of Boris Yeltsin’s statement]. Republic of Georgia. #205:1.

„sakartvelos p'arlament'is gantskhadeba“. (1992). [statement of the parliament of Georgia]. Republic of Georgia. #257:1.

„apkhazetshi tsetskhlis shets'qvet'isa da misi datsvisadmi k'ont'rolis mekanizmis shesakheb“. (1993). [Control mechanisms for the ceasefire and its protection in Abkhazia]. Republic of Georgia. #164:1.

Shharija, V. (1992). „Osvobozhdenie Abhazii nachalos'“ [The liberation of Abkhazia has begun].Republic of Abkhazia. #8:69.

Moskva. „Svjateishhemu Patriarhu vseja Rusi Aleksiju“. (1992). [Moscow. To the Holy Patriarch of all Rus Alexy]. Republic of Ablhazia. #1:32-33.